შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2014 წლის ანგარიში

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) თავის საქმიანობას ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

2014 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სასწავლო პროცესის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების, საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი.

განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი.

გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, საბიბლიოთეკო ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა.

გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი: საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები.

ჩატარდა სტუდენტების ინტერვიუირება სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსების და სხვ. კვლევის მიზნით.

გაიმართა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მათი საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით.

გაკეთდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, სწავლების შემდეგ საფეხურზე ჩარიცხულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებლების ანალიზი.

გაკეთდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი აქტივობის ანალიზი.

ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინტერვიუირების შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად მომზადდა საბაკალავრო (სამართალმცოდნეობა, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, ფინანსები და საბანკო საქმე, ტურიზმი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ჟურნალისტიკა, ინგლისური ფილოლოგია), ერთსაფეხურიანი (სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია), სამაგისტრო

(სამართალი, სისხლის სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ჟურნალისტიკა, ინგლისური ფილოლოგია), სადოქტორო (მედიცინა, სამართალი, ეკონომიკა) საგანმანათლებლო პროგრამების 2014 წლის აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები;

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში.

2014 წელს უნივერსიტეტი მონაწილეობდა გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში გამოცხადებულ მობილობის პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო მობილობის მსურველი სტუდენტების სდასუ-სა და სხვა უსდ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების პროცედურებში.

2014 წელს განახლდა–განვითარდა ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურით. შეიქმნა ახალი კომპიუტერული ცენტრი; განხორციელდა კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ტექნოლოგიური განვითარება; შეიქმნა პირველადი დახმარების ტრენინგ ცენტრი; განვითარდა და ახალი სერვისებით შეივსო სასწავლო პროცესის მართვის სისტემა; ჩატარდა სტუდენტთა XXII სამეცნიერო კონფერენცია; უნივერსიტეტის ეგიდით გამოიცა სახელმძღვანელოები და სტუდენტთა XXII სამეცნიერო კონფერენციის მასალები; სხვადასხვა სკოლების სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სდასუ TV-სთვის თემატური სიუჟეტების მომზადებაში; განხორციელდა სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პროექტები, „გრანტს+გრანტი“ და სხვა.

მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით ჩატარდა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურს(ებ)ი.

2014 წელს ჩატარდა თემატური სემინარები ტუბერკულოზის, ბავშვთა დაცვის, ასთმის, კიბოს, ჯანმრთელობის მსოფლიო დღეების აღსანიშნავად. ჩატარდა სემინარი „საქართველო თამბაქოს გარეშე“.

2014 წელს გაფორმდა მემორანდუმები საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრთან, საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან, საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან.

2014 წლის განმავლობაში ტარდებოდა საჯარო ლექციები, შეხვედრები საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენლებთან. სტუდენტების მონაწილეობით იმართებოდა ინტელექტუალური თამაშები, პოეზიის საღამოები, სპორტული ღონისძიებები და შეჯიბრებები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა საახალწლო კარნავალი.

წლის განმავლობაში ტარდებოდა უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე მიმართული აქციები.